ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 363

9 აგვისტო
"---" -------- 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კვგ ჯგუფს" (ს/ნ 454409907) შორის, 2020 წლის 6 იანვარს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-499-5-24641 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ნაწილობრივ გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და 127² მუხლის, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კვგ ჯგუფს" (ს/ნ. 454409907) შორის, 2020 წლის 6 იანვარს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-499-5-24641 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ნაწილობრივ გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 20 ივლისის №22.1120.1210 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაწილობრივ გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კვგ ჯგუფს" (ს/ნ 454409907) შორის, 2020 წლის 6 იანვარს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-499-5-24641 ხელშეკრულების „ბ" პუნქტით გათვალისწინებული სააუქციონო პირობა - „დაბალი ინტენსივობის განაშენიანებით მშენებლობის" ნაწილში, იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში „კვგ ჯგუფს" (ს/ნ 454409907) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე 518 235 (ხუთას თვრამეტი ათას ორას ოცდათხუთმეტი) ლარის გადახდას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე